ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 თებერვალი, შაბათი, 1987 წ.
№ 26 (9437) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ეხმარებიან დაზარალებულებს

**დიდთოვლობითა** და წყალდიდობით გამოწვეული იმ დიდი უბედურების შედეგების ლიკვიდაცია, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს მთელ რიგ რეგიონებს, ჩვენი ხალხის საყოველთაო საზრუნავად იქცა.

რედაქციაში ამ დღეებში განუწყვეტლივ რეკავენ ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. დღეს გთავაზობთ რამდენიმე ცნობას.

● **საქართველოს** პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე გადაწყდა დასავლეთ საქართველოს სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული რაიონების დასახმარებლად გადარიცხონ ორი დღის ხელფასი.

**ივანე ბოჟორიძე,**
**სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

● **ფრენბურთში** უმაღლესი სპორტული დაოსტატების ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის კოლექტივმა ორი დღის ხელფასი გადარიცხა საერთო დახმარების ფონდში. გარდა ამისა, 1200 მანეთი გამოვყავით ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეების დასახმარებლად. კოლექტივის რამდენიმე წევრი მზადაა მონაწილეობა მიიღოს აღდგენით სამუშაოებში.

**გიზო იმნაძე,**
**სკოლის დირექტორი.**

● **სპორტულ ტანვარჯიშში** უმაღლესი დაოსტატების ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური სკოლის თანამშრომლებმა ხელფასიდან 1145 მანეთი გადარიცხეს სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დახმარების ფონდში. ჩვენმა აღსაზრდელმა, სსრ კავშირის IX სპარტაკიადის ჩემპიონმა რუსუდან ხოფერიამ 142 მანეთი, რაც წამახალისებელ პრემიად მიიღო, მთლიანად შეიტანა დახმარების ფონდში გადასარიცხად. სკოლის სახსრებით გადაწყვეტილი გვაქვს შევიძინოთ აგრეთვე საყოფაცხოვრებო ნივთები და ინვენტარი, რომელსაც ზესტაფონის რაიონის დაზარალებულ მოსახლეობას გადავუგზავნით.

**მზია ჯუღელი,**
**სკოლის დირექტორი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

**საზოგადოებრივი აზრი ის თავისებური ბარომეტრია, რომელიც ხელს გვიწყობს მუშაობის გარდაქმნაში. როგორ ავამაღლოთ თბილისის სპორტის სასახლეში მომსახურების დონე, როგორ გამოვიყენოთ იგი უფრო ეფექტურად მოსახლეობას შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის? დღეს ამ კითხვებზე გასცემენ პასუხს სპეციალურ ანკეტებში სპორტის სასახლეში მოსული გულშემატკივრები.**

იხ. მე-2 გვ.



თბილისში, სანაპიროზე მდებარე ტანვარჯიშის ცენტრალურ სპორტდარბაზში გაიმართა საქართველოს და სომხეთის სპორტსკოლების სამატჩო შეხვედრა სპორტულ ტანვარჯიშში.

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელი ქეთევან ონიკაური. (იხ. მე-4 გვ.).

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში



## სწორი არჩევანი

**თბილისის** „დინამოს" ახალბედა კალათბურთელებმა ყურადღება მიიქციეს, რამდენიმეს კი უკვე თამამად შეიძლება ჩავაბაროთ არა მარტო შეხვედრის რომელიღაც მონაკვეთის, არამედ მთელი მატჩის ბედიც (ცხადია, თუ გვერდში გამოცდილი კალათბურთელები ეყოლებათ). ეს დიდი გამარჯვებაა „დინამოს" მწვრთნელთა იმ კურსისა, რომელსაც ხშირად ეჭვის თვალით უმზერდნენ. ასევე, ნებისმიერი ექსპერიმენტი რისკს მოითხოვს, ოღონდ რისკი გამართლებული უნდა იყოს და რაღაც კონკრეტულ მიზანს უნდა ისახავდეს.

იქნებ თქვან, ახალგაზრდების მოძალება შემთხვევამ განაპირობაო. დიახ, სხვა დროს მათთვის იქნებ ასე გაბედულად და თამამად არც გაგვეცხადებინა ნდობა, მაგრამ ახლა მთავარი ამის გარკვევა კი არ არის, არამედ ის, რომ გუნდში აღმოჩნდა რეზერვი, რომელსაც მწვრთნელები სწორედ ასეთი დებიუტისთვის ამზადებდნენ.

კაცმა რომ თქვას, მოულოდნელი არაფერი მომხდარა. გია სანაძე დაშავებული იყო და დონეცკის „შახტიორთან" გამართულ მატჩში მის ნაცვლად დათო თალაბაძემ ითამაშა. თბილისელმა მაყურებელმა იგი სწორედ ამ შეხვედრაში გაიცნო და „აღმოაჩინა". მატჩი კაუნასის „ჟალგირისთან" ლევან გეგეშიძის თავისებური ბენეფისი იყო. მესამე დებიუტანტი ალექსანდრე ფერიაშვილი კი რიგის ვეფ-თან შეხვედრაში წარმოგვიდგა თავისი ღირსებებით.

იხ. მე-3 გვ.

## ანგარიშს აბარებენ უფროსი მწვრთნელები

**ფეხბურთში** სსრ კავშირის ჩემპიონატის ახალი სეზონის დაწყებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი ლიგის გუნდები ჩემპიონატისათვის, საუბარი იყო ამ გუნდებთან საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელების შეხვედრისას გამართულ თათბირზე. უფროსმა მწვრთნელებმა კახი ასათიანმა („დინამო") და ალექსანდრე კოტრიკაძემ („გურია") აღნიშნეს, რომ მზადება მიმდინარეობს პროგრამის შესაბამისად, პარალელურად წყდება საორგანიზაციო საკითხები საიმისოდ, რომ კოლექტივებმა ჩემპიონატის სტარტზევე სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები; წინა პლანზეა წამოწეული აღმზრდელობითი მუშაობა — გუნდებში მეგობრული დამოკიდებულებისა და მიზნის მისაღწევად ერთსულოვანი სულისკვეთების შესაქმნელად.

## ვამოწმებთ სტადიონების მზადყოფნას

### აფხაზეთი

**საქართველოს** საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს სპეციალური კომისია ადგილებზე ამოწმებს ფეხბურთის სტადიონების მზადყოფნის საკითხს, ამ ღონისძიებაში ჩვენი რედაქციაც ჩაება.

აფხაზეთში ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა **მაია მესხიამ** გუშინ ტელეფონით გვაცნობა: აფხაზეთიდან საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფში ორი გუნდი გამოდის — ოჩამჩირის „ამირანი" და გაგრის „დინამო". ოჩამჩირის სტადიონი ამჟამად სრულ მზადყოფნაშია, გაგრის სტადიონზე კი რემონტი მიმდინარეობს. მშენებლებს ტემპის აჩქარება მართებთ, რათა დროულად დაასრულონ სამუშაოები.

გალის „მზიური", სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტისა და ტყვარჩელის „შახტიორის" გუნდები საქართველოს პირველობის II ჯგუფში გამოდიან. გალისა და სოხუმის სტადიონები მზადაა ახალი სპორტული სეზონისათვის, მაგრამ ტყვარჩელის სტადიონზე იმდენი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ ძალიან საეჭვოა, სეზონის გახსნამდე მოესწროს მათი დამთავრება. ამბობენ, თითქოს, მეშახტე ფეხბურთელები ოჩამჩირის სტადიონზე ჩაატარებენ მატჩებს. დაუშვებს კი ასეთ გამონაკლისს რესპუბლიკის სახსპორტკომის ფეხბურთის სამმართველო?

### ჭაბუკთა საკავშირო პირველობა ძიუდოში

## ამჯერადაც გვასახელეს

**ჭაბუკ ძიუდოისტთა შეჯიბრებებზე, როგორც წესი, შვიდი ოქროს მედალი თამაშდება. ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებმა გროდნოში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობიდან სამი ოქროს ჯილდო ჩამოიტანეს. შვიდიდან — სამი! ამას გარდა, საპრიზო ადგილებზე გავიდა საქართველოს კიდევ სამი წარმომადგენელი, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში კი ჩვენმა რესპუბლიკამ პირველი ადგილი დაიკავა. რა თქმა უნდა, სასიხარულო გამარჯვებაა იმის დასტური, რომ ჩვენს ძიუდოს საიმედო ცვლა ეზრდება.**

ჭაბუკთა საკავშირო პირველობებზე საქართველოს ძიუდოისტები ტრადიციულად კარგად გამოდიან. შარშან, მაგალითად, ქუთაისში გამართულ ანალოგიურ შეჯიბრებაში ჩვენმა მოჭიდავეებმა ასევე სამი ოქროს მედალი დაისაკუთრეს 57, 62 კგ და მძიმე წონით კატეგორიებში. გროდნოში ზუსტად გამეორდა „ქუთაისური ვარიანტი" — საქართველოს წარმომადგენლებმა სწორედ ამ წონებში გაიმარჯვეს.

პირველ წარმატებას მძიმე წონის მოჭიდავეებმა მიაღწიეს. „ქართულ ფინალში" ერთმანეთს შეხვდნენ ქარელელი ზაზა დაბრუნდაშვილი („შრომითი რეზერვები") და ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი („დინამო"). მცირე უპირატესობით გაიმარჯვა დაბრუნდაშვილმა. მან ოქროს მედალი მიიღო, ხახალეიშვილმა — ვერცხლისა. შემდეგ თავი ისახელა ლენტეხელმა გერასიმე ხაბულიანმა (62 კგ, „შრომითი რეზერვები"). მან ზედიზედ შვიდი მეტოქე დაამარცხა (მათ შორის ორი — წმინდად) და თავის წონაში უძლიერესის სახელი მოიპოვა. 57 კგ წონაში გაიმარჯვა თბილისის 31-ე პროფტექსასწავლებლის მოსწავლემ გიორგი ადიბეგოვმა, რომელმაც ამ ტურნირზე სამი მეტოქე ვადაზე ადრე დაამარცხა სამიც —

იხ. მე-2 გვ.

### საბჭოთა ოლიმპიელთა გამარჯვება

**ინდოეთში** დამთავრდა ჯ. ნერუს საერთაშორისო მემორიალური ტურნირი ფეხბურთში.

გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდი და ბულგარეთის ნაკრები. თამაში მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0 (0:0), რომლებიც დაეუფლნენ საპატიო თასს.

# როგორია საზოგადოებრივი აზრი?

**ძვირფასო მეგობრებო!** დღეს თბილისის სპორტის სასახლეში კალათბურთის მატჩზე მოსულ სპორტის გულშემატკივრებს სიახლე ელით. შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო სამმართველო და საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი ატარებს სოციოლოგიურ გამოკვლევას მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ გაეცნოთ წინამდებარე ანკეტას და უპასუხოთ კითხვებს. თქვენი გულწრფელი პასუხები დიდად შეგვიწყობს ხელს საკითხის შესწავლასა და საჭირო რეკომენდაციების შემუშავებაში. გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ ყველა კითხვა და შემოხაზოთ ის ნომერი, რომელიც თქვენს აზრს გამოხატავს. თანამშრომლობისათვის წინასწარ გიხდით მადლობას.

**1. საიდან მიიღეთ ინფორმაცია დღევანდელი სანახაობის შესახებ?**
1. გაზეთებიდან, 2. აფიშებიდან, 3. ნაცნობ-მეგობრებიდან,
**2. თქვენი აზრით, როგორ ჯობია გაიყიდოს ბილეთები?**
4. გაიყიდოს სპორტის სასახლის სალაროებში,
5. გაიყიდოს ქალაქში განლაგებულ სალაროებში.
6. განაწილდეს სამუშაო ადგილზე,
7. ნაწილდებოდეს აბონემენტი (ტურნირის ან სეზონის მიხედვით),
**3. როგორ აფასებთ სასახლეში:**
— სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას
8. დადებითად, 9. უარყოფითად, 10. მიჭირს პასუხის გაცემა.
— მომსახურების დონეს,
11. დადებითად, 12. უარყოფითად, 13. მიჭირს პასუხის გაცემა,
— მომსახურე პერსონალის საქმიანობას (ადმინისტრატორი, კონტროლიორი, მეგარდერობე, დამლაგებელი და ა. შ.),
14. დადებითად, 15. უარყოფითად, 16. მიჭირს პასუხის გაცემა.
**4. გთხოვთ დაასახელოთ დისციპლინის დარღვევის შედარებით ტიპური მაგალითები. (გთხოვთ ჩაწეროთ).** — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**5. როგორ აფასებთ იმ მუშაობას, რასაც სასახლის ადმინისტრაცია ეწევა მასობრივი სპორტის შემდგომი განვითარებისათვის.**
17. დადებითად, 18. უარყოფითად, 19. მიჭირს პასუხის გაცემა.
**6. როგორ აფასებთ სასახლის სარეკლამო სამსახურის მუშაობას**
20 დადებითად, 21. უარყოფითად.
22. და სხვა (გთხოვთ ჩაწეროთ) — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**7. რის ნახვას ისურვებდით სპორტის სასახლეში?**
23. სპორტული სანახაობის — — — — — — — — — —
(ჩაწერეთ სპორტის სანახაობა)
24. კინოფილმების, 25. კონცერტების, 26. გამოფენების,
27. შეხვედრების, საღამოების, ზეიმების, 28. დისკოთეკების.
**8. სპორტის სასახლეში არსებული რომელი საბონენტო ჯგუფი მოგწონთ?**
29. ათლეტური ტანვარჯიშის, 30. ტრენაჟორების, 31. აერობიკის, 32. ჩოგბურთის, 33. საერთო ფიზიკური მომზადების, 34. ბრეიგდანსის, 35. ბადმინტონის.
**9. თქვენთვის რა დრო უფრო მოსახერხებელია სავარჯიშოდ: 7 საათი, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21?**
**10. იზიარებთ თუ არა იმ მოსაზრებას, რომ სასახლის ადმინისტრაცია და მომსახურე პერსონალი კარგადართმევენ თავს საქმეს?**
36. დიახ, 37. არა.
**11. გაკმაყოფილებთ თუ არა საქალაქო ტრანსპორტის მომსახურების სარისხი მასობრივი ღონისძიებების ჩატარების დროს.**
38. დიახ, 39. არა.
**12. თქვენი აზრით რა არის საჭირო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის?**
(გთხოვთ ჩაწეროთ) — — — — — — — — — — —
**13. სქესი.**
40. მამრობითი, 41. მდედრობითი
**14. განათლება:**
42. საშუალო, 43. პროფტექნიკური, 44. საშუალო-სპეციალური, 45. არასრული უმაღლესი, 46. უმაღლესი.
**15. წლოვანება:**
(გთხოვთ ჩაწეროთ) — — — — — — — — — — —

შენიშვნა: ანკეტებს მიიღებთ სპორტის სასახლეში კონტროლიორებისგან. შეგიძლიათ აგრეთვე შეავსოთ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ეს ანკეტა. შევსებული ანკეტები შეგიძლიათ დატოვოთ თქვენს სკამზე სექტორში.

მაშ ასე, ველით თქვენს მხარდაჭერას.

ჭაბუკთა საკავშირო პირველობა ძიუდოში

# ამჯერადაც გვასახელეს

(დასასრული)

ქულებით. მესამე ადგილები დაიკავეს თბილისელმა გიორგი ჩოკურმა (75 კგ, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) და სოხუმელმა ვლადიმერ დგებუაძემ (83 კგ, „დინამო").

სპორტსაზოგადოებათა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ნაკრები — 36 ქულა; 2. „დინამო" — 30,5; 3. „შრომითი რეზერვები" — 26 (აღსანიშნავია, რომ „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკის ათი ძიუდოისტი გამოდიოდა), როგორც ითქვა, არაოფიციალურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგი ჰქონდათ საქართველოს სპორტსმენებს, რომლებმაც უკან ჩამოიტოვეს რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები.

## გამარჯვებული



**გერასიმე ხაბულიანი**

დაიბადა 1970 წელს ლენტეხის რაიონის სოფელ ფანაგაში. წონა 62 კგ, სიმაღლე — 160 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წევრი. მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სვთისო წიკლაური. გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლე. ძიუდოში ვარჯიში დაიწყო 1982 წელს. საქართველოს ჩემპიონი თანატოლებში, ა. კიკნაძის სახელობის ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის.



**გიორგი ადიბეგოვი**

დაიბადა 1970 წელს ქარელის რაიონის სოფელ თამარაშენში. წონა 57 კგ, სიმაღლე — 154 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წევრი. მწვრთნელები — ავთანდილ მამნიაშვილი და ისიდორე მჭედლიძე. თბილისის 31-ე პროფტექსასწავლებლის მოსწავლე. ძიუდოში ვარჯიში დაიწყო 1982 წელს. „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ჭაბუკებში, ნიკოპოლის საკავშირო ტურნირში გამარჯვებული, ჭაბუკთა საკავშირო პირველობის ჩემპიონი.



**ზაზა დაბრუნდაშვილი**

დაიბადა 1970 წელს ქარელში. წონა 105 კგ, სიმაღლე 175 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წევრი. მწვრთნელი — მევლუდ ლალანიძე. ჭაბუკთა I საკავშირო თამაშების ვერცხლის პრიზიორი, 1986 და 1987 წლების ჭაბუკთა საკავშირო პირველობების ჩემპიონი.

# ქულათა მაქსიმუმით

**გაიმართა** აჭარის პირველობა ჭადრაკში.

ქალთა ტურნირში ყველას აჯობა ბათუმის 23-ე საშუალო სკოლის მე-3 კლასის ფრიადოსანმა მოსწავლემ დიანა დარჩიამ. ნორჩმა მოჭადრაკემ 13 შესაძლებლიდან ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა. ასეთი შედეგი ავტონომიური რესპუბლიკის პირველობაზე ჯერ არავის ჰქონია. დავძენთ აგრეთვე, რომ ჩემპიონმა ქულათა მაქსიმუმი (11-დან — 11) დააგროვა ამას წინათ გამართულ ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პირველობაზეც, რომელშიც პირველთანრიგოსანი გოგონები მონაწილეობდნენ. აჭარის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა მეშვიდეკლასელი ლია შეწირული, III ადგილი დაიკავა I სკოლის მოსწავლემ ლია ჯინჭარაძემ.

ვაჟთა ტურნირში 16 მოჭადრაკე გამოდიოდა. აქაც ყველა საპრიზო ადგილი ბათუმელებს ხვდათ. 14-14 ქულა მოაგროვეს ი. გოგოშვილმა და ფ. მელქოიანმა. ჩემპიონის გამოსავლენად მათ შორის დამატებითი შეხვედრა გაიმართება. III ადგილი დაიკავა გ. ძიმისტარიშვილმა.

ლევან ქავჟარაძე.



ლელო

ჩვენი გაზეთის საგუშაგო ლანჩხუთში

შაბათიდან — შაბათამდე

# ენთუზიაზმი და შემართება არ ნელდება

სტიქიურმა უბედურებამ, რაც დასავლეთ საქართველოს დაატყდა თავს, ლანჩხუთის რაიონსაც დაატყო კვალი, მაგრამ ლანჩხუთის სპორტული ობიექტების მშენებლობებზე მუშაობა ერთი დღითაც არ შეწყვეტილა. თითოეული მშენებლის თავდადებული, შეიძლება ითქვას გმირული შრომა ცალკე საუბრის თემაა, ამიტომ ჩვენს ტრადიციულ საშაბათო რეპორტაჟში გაგვიჭირდება ყველას მოხსენიება, მაგრამ ვეცდებით მათი სახელები ყოველ მომდევნო წერილში გაგაცნოთ.

მძლავრი ტექნიკა და მუშახელი სჭირდებათ წყალდიდობით წალეკილ მეზობელ რაიონებში, მაგრამ სამტრედიელმა, ცხაკაიელმა, ფოთელმა, ზუგდიდელმა და სხვა რაიონების მშრომელებმა კარგად იციან, რომ ლანჩხუთის ახალმშენებლობებზე ერთი დღის გაცდენაც გრაფიკიდან საბოლოოდ ამოვარდნას ნიშნავს. ამიტომ აქ მუშაობის რიტმი არ შეცვლილა. ეს ოპტიმისტურად განაწყობს ყველა ჩვენგანს.

ამდენი ხნის უამინდობის შემდეგ, 6 თებერვალს პირველად გამოანათა მზემ. ახლა სტადიონზე ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი აღმოსავლეთი ტრიბუნაა. ლითონკონსტრუქციების მონტაჟი აქ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და იგი გრაფიკის თანახმად, ხვალ, 8 თებერვალს დამთავრდება. გაცილებით ნელა მიდის ანაკრები რკინა-ბეტონის ფილების მონტაჟი. გრაფიკით იგი 10-12 თებერვალს უნდა დამთავრდეს, მაგრამ... ქუთაისის ფოლადკონსტრუქციების სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს (უფროსი ნოდარ კვიტაშვილი) სამუშაოთა მწარმოებელმა ვაჟა ლონლაძემ, მოწინავე მუშებმა ლეონიდ ლაშინმა, ამირან იობიძემ, მამა-შვილმა ანუშევან და სერგეი სარქისოვებმა, თემურ ცხვედიანმა, მამედ ნურბაგანდოვმა და ამირან ელიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ სიტყვას არ გასტეხენ, თუ მომწოდებელი, მახარაძის რკინა-ბეტონის ქარხნის კოლექტივი როგორც დღემდე, კვლავ ისე დაეხმარებათ.

ტრიბუნების სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე ტემპის მომატება მართებთ აგრომშენის № 2 სარემონტო-სამშენებლო ტრესტის ორგანიზაციებს, უნდა დაჩქარდეს ტრიბუნების ფასადების შელესვა.

რაც შეეხება განათების ანძებს და ელექტრო-საინფორმაციო ტაბლოს, ერთ ანძაზე დღეს უკვე ბოლო სექცია დამონტაჟდა, მეორე ანძის სექცია შემოტანილია, დანარჩენ ორს კი უახლოეს დღეებში ელიან, მაგრამ დასაჩქარებელია თვით პროჟექტორების დამონტაჟების სამუშაოები და ტაბლოს კარკასის შეკვრა.

კეთილმოწყობილია სტადიონის მიმდებარე ტერიტორია, რადგან უამინდობის გამო ჭირს ღორღისა და ინერტული მასალების შემოტანა.

რაც მთავარია, ძირითად მოედანზე სამუშაოები თითქმის დაამთავრა ტრესტ „კოლხიდმშენის" ლანჩხუთის № 3 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ. სამუშაოთა მწარმოებელი ბ. მურადაშვილი, მოწინავე მუშები ავთო აფხაზავა, ზაურ მურადაშვილი და სხვები ახლა სათადარიგო მინდორზე მუშაობენ. 6 თებერვალს აქ მათთან ერთად ლანჩხუთის რაიონის სოფლების აკეთის, შუხუთის, გვიბრალაურის კოლმეურნეებიც აქტიურად მუშაობდნენ.

გრიგოლეთის ბაზაზე დაწვრილებით წინა რეპორტაჟში გიამბეთ. სამწუხაროდ, აგრომშენის № 5 ტრესტის მშენებლებმა დღემდე ვერ ამოიყვანეს საქვაბის საძირკველი.

ამ შრომის ფრონტზე შავ ლაქასავით ჩანს რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდი და მიმდებარე დაბინძურებული ტერიტორია. საქმე ის არის, რომ ეს ხიდი მოზღვავებულ გულშემატკივრებს ვერ გაატარებს და ბევრი შეეცდება პირდაპირ რკინიგზის ხაზი გადაჭრას, რაც სახიფათოა. რკინიგზის სამმართველო კი არც ხიდის რეკონსტრუქციაზე ფიქრობს და არც საზების შემოღობვაზე.

ბუნებრივია, ასეთი გრანდიოზული სამუშაოს შემჭიდროებულ ვადებში დამთავრება ადვილი საქმე არ არის. ეს კარგად ესმით აქ მომუშავე ორგანიზაციების ხელმძღვანელობებს. ვფიქრობთ, ის ენთუზიაზმი და შემართება, რითაც ისინი ამ დიდი საქმის კეთებას შეუდგნენ, არ განელდება. ახლა, როცა ყოველი დღე გვაახლოებს ლანჩხუთში დიდი ფეხბურთის მობრძანებას, საჭიროა მეტი მობილიზება, როგორც სპორტსმენები იტყვიან, საჭიროა „მეორე სუნთქვის" გახსნა.

თამაზ ხარაბაძე.
„ლელოს" სპეც. კორ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# სწორი არჩევანი

დასასრული

თალაბაძე, გეგეშიძე, ფერიაშვილი... ამ სამ ახალგაზრდას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია სრულყოფამდე, მაგრამ არჩევანი გაკეთებულია და სასიხარულოა, რომ ეს არჩევანი სწორია.

როგორ დამთავრდებოდა კაუნასის „ჟალგირისთან" გამართული შეხვედრა, ეს ჩვენთვის თავიდანვე ნათელი იყო, ამიტომ ილუზიები არ გვქონია. სწორედ ამ მატჩში მიეცა „დინამოს" თავისი რეზერვის შემოწმების საშუალება. და რა გაირკვა? ის, რომ თალაბაძეს არც ჟინი აკლია და არც სითამამე, რომ გეგეშიძე მშვენიერი სნაიპერი ყოფილა, ფერიაშვილს კი ფარქვეშ ბრძოლა შეუძლია (ჩვენი გუნდის ტრადიციულად სუსტი მხარე). ამ მატჩში სხვა ახალგაზრდებიც ვნახეთ და გულახდილად უნდა გითხრათ, იმედი ჩაგვესახა, ყოველ შემთხვევაში ახლა ის მაინც ვიცით, რომ ძირითადი ხუთეულის უკან დგას თამაშს მოწყურებული ახალგაზრდების საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, რომელიც თანდათან შეიძენს საჭირო გამოცდილებას...

ვეფ-თან მეტად პრინციპულ შეხვედრაში ფერიაშვილმა სიურპრიზი შემოგვთავაზა. მას შემდეგ, რაც იგი მოედანზე შემოვიდა, ფარი უფრო საიმედოდ დაცული გახდა. სწორედ ამის გამო და ძირითადი ხუთეულის (დარსაძე, კაპუსტინი, ტიუბინი, ოპოშნიანი) თავგანწირული თამაშის შედეგად, მეორე ტაიმში დინამოელები 20 ქულითაც კი დაწინაურდნენ. მართალია, თამაში დიდი სხვაობით ვერ მოვიგეთ და შეხვედრის მიწურულში შესამჩნევად დავკარგეთ უპირატესობა, მაგრამ ეს დეტალებია, მთავარი კი ის გახლავთ, რომ შესვენების შემდეგ თბილისელ კალათბურთელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის, ჩვენი ღრმა რწმენით, თვით მეტოქესაც კი არ შეპარვია.

განვლილი ორი დღის მატჩებიდან კიდევ ერთმა შეხვედრამ მიიქცია ყურადღება. აქ მძაფრი ბრძოლა თითქოს არ უნდა გამართულიყო, რადგან ლენინგრადის „სპარტაკი" დღესდღეობით არ არის ის გუნდი, რომელსაც ჩვენი კალათბურთის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერის — კაუნასის „ჟალგირისის" დამარცხება შეუძლია. დიახ, არ არის, მაგრამ კინაღამ დაამარცხა.

„სპარტაკი" პირველ ტაიმში შეხვედრას 18 ქულით აგებდა, მაგრამ მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა შეძლო მთელი ძალების მობილიზება და გუნდმა სხვაობა 7 ქულამდე შეამცირა. მერე კიდევ ერთი სასწაული მოხდა და ანგარიში საბოლოოდ გათანაბრდა...

შეხვედრის დამთავრებამდე 1 წუთითა და 10 წამით ადრე წინ უკვე „სპარტაკი" იყო. სწორედ ამ მომენტში კისელიოვმა საბედისწერო და უხეში შეცდომა დაუშვა, რომელსაც მსაჯებმა „განზრახ მიღებული ჯარიმის" კვალიფიკაცია მისცეს და ორი ზუსტად შესრულებული საჯარიმო სროლის შემდეგ ბურთი ისევ კაუნასელებს დარჩათ, რომლებიც სამქულიანი ტყორცნით დაწინაურდნენ. „სპარტაკს" ბოლო წამებში შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ გრიშაევის შორიდან ნასროლი ბურთი მიზანს აცდა.

შეხვედრის შემდეგ ლენინგრადელთა მწვრთნელმა კისელიოვის საქციელს „ღალატი" უწოდა. ეს სასჯელია იმ კალათბურთელისთვის, რომელმაც თავის გუნდს ამ შეხვედრაში ყველაზე მეტი ქულა შესძინა, ვინც ბოლო მატჩის განმავლობაში თავგამოდებით თამაშობდა. მაგრამ მწვრთნელმა ამით თავისი დამოკიდებულება გამოხატა დაუფიქრებელი მოქმედებისადმი, რომელიც შეიძლება გუნდისთვის მომავალშიც საბედისწერო აღმოჩნდეს.

ნოდარ გუგუშვილი.



თბილისელები ოპოშნიანი და ფერიაშვილი (წინა პლანზე) ფარიდან ასხლეტილი ბურთის მოლოდინში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



შეტევაზეა გენადი კაპუსტინი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 25 | 20 | 5 | 2411-2049 | 45 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 25 | 19 | 6 | 2202-2010 | 44 |
| „დინამო" (თბილისი) | 25 | 15 | 10 | 2000-2095 | 40 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 25 | 13 | 12 | 2013-2058 | 38 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 25 | 13 | 12 | 2038-2013 | 38 |
| ვეფ (რიგა) | 25 | 13 | 12 | 2253-2283 | 38 |

## მხოლოდ სტატისტიკა

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 78:116 (33:43).

„დინამო": გეგეშიძე (24), ფერიაშვილი (15), ტიუბინი (10), თალაბაძე (7), ოპოშნიანი (7), კაპუსტინი (6), დარსაძე (5), გაბრიჭიძე (3), შენგელია (1).

„ჟალგირისი": ბრაზისი (19), ჩივილისი (18), საბონისი (18), ხომიჩუსი (15), კურტინაიტისი (10), იოვაიშა (10), ლეკარაუსკასი (9), ვისოცკასი (6), იანკაუსკასი (5), ვენცლოვასი (4), რაგაუსკასი (2), კრაპიკასი.

მსაჯები: ბ. ცარიკოვი (გომელი), ი. გალინსკი (კალუგა).

* * *

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 თებერვალი.

„სპარტაკი" (ლენინგრადი) — „შახტიორი" (დონეცკი) 69:63 (33:37).

„სპარტაკი": გრიშაევი (13), შჩეტინინი (11), პავლოვი (11), გორინი (10), კისელიოვი (9), მალცევი (9), ხარჩენკოვი (3), ჟარკოვი (3).

„შახტიორი": ბაბენკო (19), ბოგდანოვი (14), ივახნენკო (11), კროპაჩოვი (5), ზავალინი (5), იუსუპოვი (4), კაჩურა (3), ლუკიანეცი (2), შევჩენკო.

მსაჯები: ო. გორბატოვი (კუიბიშევი), ი. კოვალიოვი (გომელი).

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 თებერვალი.

ცსკა — ვეფ (რიგა) 116:79 (58:37).

ცსკა: ტიხონენკო (21), ტარაკანოვი (18), ვოლკოვი (17), ენდენი (15), პოპოვი (15), ლოპატოვი (9), ტკაჩენკო (8), ბაზარევიჩი (7), გრუშინი (4), პონკრაშკინი (2), მელეშკინი, გუსევი.

ვეფ: მუიჟნიეკსი (31), ლიეპა (16), ეკობსონსი (14), კალნინში (6), მიგლინიეკსი (6), დუდოროვი (2), ბარზინში (2), დრეიბერგსი (2), კარავაევი.

მსაჯები: ვ. სუურკასკი (ტალინი), ვ. მუხინი (ბაქო).

თბილისი. სპორტის სასახლე. 5 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა) 85:79 (31:33).

„დინამო": დარსაძე (25), კაპუსტინი (21), ტიუბინი (16), ოპოშნიანი (15), ფერიაშვილი (8), თალაბაძე.

ვეფ: ვალტერსი (34), ეკობსონსი (18), მუიჟნიეკი (12), დუდოროვი (5), კალნინში (4), ლიეპა (4), კარავაევი (2), მიგლინიეკსი.

მსაჯები: ო. გორბატოვი (კუიბიშევი), ი. კოვალიოვი (გომელი).

* * *

თბილისი. სპორტის სასახლე. 5 თებერვალი.

„ჟალგირისი" (კაუნასი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 80:79 (45:38).

„ჟალგირისი": კურტინაიტისი (23), საბონისი (18), ბრაზისი (14), ჩივილისი (7), ხომიჩუსი (7), იოვაიშა (5), ლეკარაუსკასი (4), კრაპიკასი (2).

„სპარტაკი": კისელიოვი (21), გორინი (15), გრიშაევი (13), ხარჩენკოვი (9), კორნილიოვი (8), შჩეტინინი (5), პავლოვი (4), ჟარკოვი (4).

მსაჯები: ვ. სუურკასკი (ტალინი), ბ. ცარიკოვი (გომელი).

* * *

თბილისი. სპორტის სასახლე. 5 თებერვალი.

ცსკა — „შახტიორი" (დონეცკი) 118:82 (69:40).

ცსკა: ტარაკანოვი (20), ტიხონენკო (19), ვოლკოვი (17), ტკაჩენკო (15), ლოპატოვი (12), მელეშკინი (11), ენდენი (9), პოპოვი (6), ბაზარევიჩი (5), პონკრაშკინი (4).

„შახტიორი": ბაბენკო (15), ბოგდანოვი (12), ზავალინი (12), კროპაჩოვი (12), ვნუკოვი (6), ლუკიანეცი (6), იუსუპოვი (6), შევჩენკო (5), ერმოლინსკი (5), დონსკოი (2), ივახნენკო (1).

მსაჯები: ი. გოლინსკი (კალუგა), ს. ფომინი (სმოლენსკი).

## დღე მეოთხე

**ცსკა — „ჟალგირისი" (კაუნასი).** 54-ე საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. ბოლო ორი წლის მანძილზე უპირატესობა კაუნასელთა მხარესაა. „ჟალგირისმა" მოიგო რვა შეხვედრა, ცსკა-მ — სამი. წლევანდელ ჩემპიონატშიც ლიტველებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს.

**„შახტიორი" (დონეცკი) — ვეფ (რიგა).** მეტოქეებმა ქულები თანაბრად გაინაწილეს, ამიტომ ბრძოლა ამჯერად მძაფრი და დაძაბული იქნება.

**„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი).** თბილისელებს კალენდრის თანახმად ორივე შეხვედრის ლენინგრადში ჩატარება მოუხდათ. ერთ შეხვედრაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს, ერთში — სტუმრებმა. ასეთ დროს მესამე ბრძოლა ყოველთვის უშეღავათო და პრინციპულია.

# თებერვალსა და მარტში

**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელთა ფინალური ტურნირი, რომელშიც ექვსი უძლიერესი გუნდი მონაწილეობს, 8 თებერვალს დამთავრდება. სამი დღის შემდეგ კი დაიწყება დასკვნითი ტური მიმოსვლით (გუნდები ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს, ერთხელ — შინ, ერთხელ — მეტოქის მოედანზე).

ქვემოთ გთავაზობთ ამ მატჩების კალენდარს (თამაშები ჩატარდება პირველად დასახელებული კოლექტივების მოედანზე).

**11 თებერვალი.** „დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ცსკა.

**12 თებერვალი.** ვეფ (რიგა) — „ჟალგირისი" (კაუნასი).

**13. თებერვალი.** ვეფ (რიგა) — ცსკა.

**14 თებერვალი.** „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ჟალგირისი" (კაუნასი).

**16 თებერვალი.** „ჟალგირისი" (კაუნასი) — „შახტიორი" (დონეცკი).

**17 თებერვალი.** ვეფ (რიგა) — „დინამო" (თბილისი).

**20 თებერვალი.** ცსკა — „დინამო" (თბილისი).

**21 თებერვალი.** „შახტიორი" (დონეცკი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

**22 თებერვალი.** „ჟალგირისი" (კაუნასი) — „დინამო" (თბილისი), „შახტიორი" (დონეცკი) — ვეფ (რიგა).

**26 თებერვალი.** „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

**28 თებერვალი.** ცსკა — „შახტიორი" (დონეცკი), ვეფ (რიგა) — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

**1 მარტი.** ცსკა — „ჟალგირისი" (კაუნასი).

**3 მარტი.** „შახტიორი" (დონეცკი) — „ჟალგირისი" (კაუნასი), „დინამო" (თბილისი) — ცსკა.

**4 მარტი.** „დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა).

**6 მარტი.** „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ვეფ (რიგა).

**7 მარტი.** „ჟალგირისი" (კაუნასი) — ცსკა.

**8 მარტი.** „ჟალგირისი" (კაუნასი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი), „შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (თბილისი).

**9 მარტი.** „შახტიორი" (დონეცკი) — ცსკა.

**12 მარტი.** ცსკა — ვეფ (რიგა).

**13 მარტი.** ცსკა — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

**15 მარტი.** „დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი), ვეფ (რიგა) — „შახტიორი" (დონეცკი).

**17 მარტი.** „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „შახტიორი" (დონეცკი).

**18 მარტი.** „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი). „ჟალგირისი" (კაუნასი) — ვეფ (რიგა).

22, 24 და 25 მარტს გაიმართება სუპერფინალური მატჩები, რომლებიც 54-ე ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლოსნებს დაასახელებს.

## სამატჩო „შესარჩევი"

— **შესარჩევი** ვუწოდეთ, ვინაიდან ივლისში ბათუმში გაიმართება საკავშირო პირველობა სპორტულ სკოლებს შორის,—გვითხრა საქართველოს სპორტსახკომის ტანვარჯიშის განყოფილების უფროსმა თეიმურაზ ასათიანმა.

სანაპიროზე მდებარე ტანვარჯიშის ცენტრალურ სპორტდარბაზში საქართველოსა და სომხეთის სპორტსკოლების სამატჩო შეხვედრა გაიმართა. ასპარეზობაში 1973-76 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები გამოვიდნენ — სულ 41 ტანმოვარჯიშე.

ერთიმეორეს მიყოლებით გამოდიოდნენ ნორჩები სპორტულ იარაღებზე. მაღალოსტატურად, დახვეწილად, ფანტელებივით მსუბუქი სიფრიფანა გოგონები რთულ აკრობატულ ილეთებსა და ნახტომებს, ლამაზ კომპოზიციებს ასრულებდნენ. რამდენი სილამაზე და პლასტიკა იგრძნობოდა მასში. სწორედ აქედან იწყება მომავალი ჩემპიონების გზა.

ნაკრებში თბილისელთა გარდა მოწვეული იყვნენ: ზვიად ყალიჩავა (ზუგდიდიდან), სოფიკო მანაგაძე, რევაზ რიჟამაძე და ზვიად ავალიანი (ქუთაისიდან), გენადი სურმანიძე (ბათუმიდან), ალიონა თიბილოვა (ცხინვალიდან), ისინი სექტემბერში გადმოიყვანეს თბილისში, ცენტრალიზებული ვარჯიშისათვის.

ოთხდღიანი საინტერესო ბრძოლის შედეგად უძლიერესის სახელები მოიპოვეს: ბიჭებში — გენადი სურმანიძემ — 98,6 ქულა, ედვარდ სტეფანიანმა — 106,2, გოგონებში — მარინე სებდამ (ორივე ერევანი) — 69,95, ქეთევან ონიკაურმა — 70,85 და სტელა დავიდოვამ — 69,4.

გარდა ე. სტეფანიანისა ყველა ჩამოთვლილი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წევრია.

იური ბალდავა,
სპორტის ოსტატი.

ველოსპორტი

## ...კიდევ კარბელაშვილი და ქარუმიძე

**როგორც** იცით, ლვოვში ჩატარდა სპრინტერთა საკავშირო შეჯიბრება ველოსპორტში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 1969-70 წლებში დაბადებული ახალგაზრდები. მამუკა ყურაშვილის წარმატების შესახებ უკვე გაუწყეთ. ამ შეჯიბრებაში თბილისის ოლიმპიური მომზადების ცენტრის სხვა აღსაზრდელებიც წარმატებით გამოვიდნენ. სპორტის ოსტატობის კანდიდატმა თბილისის 137-ე სკოლის X კლასის მოსწავლემ ანდრო კარბელაშვილმა პირველი ადგილი დაიკავა სპრინტერულ მრავალჭიდში, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ვიაჩესლავ ქარუმიძე უძლიერესი იყო სპრინტერთა ჯგუფურ რბოლაში 30 წრეზე. მათ წვრთნის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ეგანოვი.

ჭადრაკი

## მანაგაძე ამარცხებს ლიდერს

**სამტრედია** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის IX ტურში ნუკრი მანაგაძემ (ქუთაისი) დაამარცხა გათამაშების ლიდერი სამტრედიელი ნიკოლოზ ლეკვეიშვილი და ნახევარი ქულით გაუსწრო მას. ახლა ნუკრის 7,5 ქულა აქვს. 7-7 ქულით ჯერჯერობით II-V ადგილებს იყოფენ სოფიკო ტერელაძე, ნიკოლოზ ლეკვეიშვილი (ორივე — სამტრედია), კახა შალამბერიძე და იური ნეჩაევი (ორივე — თბილისი). 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს ბესიკ ხეცურიანმა (ქუთაისი), ივანე სიფრაშვილმა (სიღნაღი) და ბონდო გოგოლაძემ (ახალციხე). 6-6 ქულა აქვთ რაულ კაპანაძეს (აბაშა) და თემურ მასხარაშვილს (ქუთაისი). აღსანიშნავია, რომ გოგოლაძემ და კაპანაძემ ზედიზედ 6-6 გამარჯვება მოიპოვეს.

**ბეჟან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სამტრედიის საჭადრაკო სკოლის დირექტორი.**

შაში

## უშეღავათო ბრძოლა ელით

**ქუთაისში** დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატი 100-უჯრედიან შაშში. 10 ტურის შემდეგ 8-8 ქულით ლიდერობენ ნატო აგლაძე, ლია ბეჟაშვილი (ორივე — თბილისი) და ლია ღირდალაძე (სამტრედია). შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტური დარჩა. ასე რომ, საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის ერთადერთი საგზურისთვის ბრძოლა უშეღავათო იქნება.

**როლანდ ქერდიყოშვილი,**
**სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის შაშის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე.**

ფეხბურთი

## „გურია" — „მეტალისტი" 0:0

**5 თებერვალს** ლესელიძეში გაიმართა საკონტროლო შეხვედრა ფეხბურთში. ლანჩხუთის „გურიამ" უმასპინძლა ხარკოვის „მეტალისტს". მატჩი დამთავრდა ფრედ— 0:0.

„გურიის" შემადგენლობა: იმნაძე, მიქაბერიძე, მელიქია, შვეცოვი, მ. თევზაძე, ფრიდონაშვილი, ხლუსი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, ხაკბა, მეგრელაძე.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრაში ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს ლანჩხუთელებმა.

**მაია მესხია,**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**
ლესელიძე.

# იყოს ასეთი დაფებიც

**ყველამ** კარგად იცის, თუ რა ადგილი უკავია სპორტს ჩვენს ცხოვრებაში, როგორ ამდიდრებს იგი ჩვენს სულიერ სამყაროს და რას მატებს ერის კულტურას. სპორტსმენის ყოველი გამარჯვება თაობიდან თაობას გადაეცემა და როგორც წარსულის განძი, ისე აღიქმება. ტყუილად როდი ვამბობთ, მავანმა და მავანმა ოქროს ფურცელი ჩაწერა ქართული სპორტის ისტორიაშიო...

დიახ, უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ ისინი და მომავალს არ შემოვუნახოთ მათი სახელები. ეს ისტორიის ერთი ფურცლის გაუქმება იქნებოდა, რასაც თაობები არ გვაპატიებენ.

გადავხედოთ ქართული სპორტის ისტორიას. დავიწყების ბინდს დაუფარავს დიდებულ სპორტსმენთა სახელები თუ კვლავინდებურად ელვარებენ ისინი? შარშან გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნდა საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის ბიჭიკო ქორქიას წერილი. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ გმირთა მოედნის ასბინიან სახლზე გამოკრული მემორიალური დაფები უფრო უხარისხობით იქცევს ყურადღებას, ჩვენ მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ ამ ბინაში, რომელიც ცნობილ ქართველ მოღვაწეთათვის აშენდა, გამოჩენილი მომღერლების დავით ანდღულაძის, დავით გამრეკელის, ნადეჟდა ცომაიას, კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის, სახალხო არტისტების გიორგი შავგულიძის, პიერ კობახიძის, გოგუცა ქუპრაშვილის, პოეტ სიმონ ჩიქოვანის გვერდით ცხოვრობდა ფეხბურთელი შოთა შავგულიძე. მაგრამ ამის დამადასტურებელ მემორიალურ დაფას „ასბინიანის" კედლებზე ვერსად ნახავთ. არადა შოთა შავგულიძემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ფეხბურთში.

მთელი საქართველო ამაყობდა და დღესაც ამაყობს ბეჭდაუდებელი ფალავნით არსენ მეკოკიშვილით, რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ავთანდილ ქორიძით, მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმერ რუბაშვილით, მაგრამ მათ შესახებ მომავალ თაობებს ცოტა რამ ეცოდინებათ. დიახ, ბევრნი არიან ისინი, ვის სახელებსაც მოწიწებით და პატივისცემით ვახსენებთ: პირველი საბჭოთა მსოფლიო რეკორდსმენი ნინო დუმბაძე, ევროპის პირველი ჩემპიონი, მოჭიდავე კონსტანტინე კობერიძე, მთაში დაღუპული დაძმა ჯაფარიძეები, მამა-შვილი ჯუმბერ და დავით მეძმარიაშვილები, „კლდის ვეფხი" მიშა ხერგიანი, ვლადიმერ მარღანია, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, გულო რცხილაძე, კონსტანტინე ზაალიშვილი, სერგო შუდრა, გიორგი ვართანოვი, ლევან ღუღუშაური, ალექსანდრე გოლდშტეინი, ლეონიკო გოირგობიძე, კოკა თოხიშვილი...

ვფიქრობთ, ის სახლები, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, მემორიალური დაფებით უნდა დამშვენდეს. მსგავსი დაფები უნდა იყოს ქუთაისშიც — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სულიკო თორთლაძის, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონ კალათბურთელ ოთარ სულაბერიძის, მთამსვლელ მურად ჭიჭინაძის, საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორ მოკრივე ფრიდონ ლომიძის სახელების უკვდავსაყოფად.

სახელოვან სპორტსმენთა სახელებს უნდა მოუფრთხილდნენ სოხუმშიც, თელავში, ცხინვალში, მესტიაში, ლენტეხში...

**უშანგი ჭიჭინაძე.**

**ინგლისის კლუბები საერთაშორისო ტურნირში**

**ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში 25 მაისიდან 4 ივნისამდე ჩატარდება ოთხი გუნდის საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მიიწვიეს ინგლისის ცნობილი კლუბები „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ნოტინგემ ფორესტი".**

ცნობილია, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში 1985 წელს ბრიუსელის „ეიზელის" სტადიონზე მომხდარი ტრაგიკული ინციდენტის შემდეგ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ და ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა ინგლისის კლუბებს აუკრძალეს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა. 1986 წელს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ხელახლა განიხილა ეს საკითხი და ინგლისის კლუბებს ნება დართო ეთამაშათ, მაგრამ მხოლოდ ევროპის კონტინენტის ფარგლებს გარეთ. ამდენად, ეს ინგლისელთათვის თავისებური „დებიუტია".

ავსტრალიის საფეხბურთო ფედერაციის წარმომადგენელმა ბრაიან ემერიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ინგლისური კლუბები დიდად დაზარალდნენ თავიანთი ხულიგანი გულშემატკივრების გამო, ახლა ისინი უკვე აღარ სარგებლობენ ადრინდელი ავტორიტეტით, ამდენად, ეს ტურნირი ინგლისელთათვის მეტად მნიშვნელოვანია.

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ნოტინგემ ფორესტის" გარდა სიდნეის ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ შოტლანდიის „სელტიკი" და ავსტრალიის ნაკრები.

**ჩინებული სნაიპერი**

რობერტო პრუცომ („რომა"), რომელიც 1981, 1982 და 1986 წლებში იტალიაში № 1 სნაიპერი იყო, ამას წინათ ასმეოთხე გოლი გაიტანა („რომაში" იგი 1977 წლიდან გამოდის). ამით 31 წლის პრუცომ მოხსნა „რომას" ძველი რეკორდი (103 გოლი), რომელიც როდოლფო ფოლკს ეკუთვნოდა.

**ფიფა-ს ეგიდით**

9-13 თებერვალს ლა-კორუნიაში (ესპანეთი) ჩატარდება მეორე საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში. პირველი, როგორც იცით, ამას წინათ უნგრეთში გაიმართა და მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა. შეჯიბრება ფიფა-ს ეგიდით ტარდება.

**უცხოელთა შორის უძლიერესნი**

დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა" ცნობილ სპორტულ ჟურნალისტებს ანკეტები დაუგზავნა. მათ უნდა დაესახელებინათ ბუნდესლიგაში მოთამაშე უძლიერესი უცხოელი ფეხბურთელები.

პირველ ადგილზე 28 წლის მიროსლავ ოკონსკი (პოლონეთი) გავიდა, მეორეზე — ბელგიის ნაკრების მეკარე ჟან-მარი პფაფი, მესამეზე — პოლონეთის ნაკრების კაპიტანი ვლოძიმეჟ სმოლიარეკი.

**ძლიერი ოლიმპიური ნაკრები**

იტალიის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა დინო ძოფმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შესარჩევ შეჯიბრებებში გამარჯვებისა და ოლიმპიური ტურნირის ფინალში გასვლის იმედი აქვს. გუნდის შემადგენლობაში იტალიის წამყვანი კლუბების მოთამაშეები შედიან: ტაკონი („იუვენტუსი"), ტასოტი („ტორინო"), კაჩინი („ასკოლი"), ბრიო („იუვენტუსი"), კრავერო („ტორინო"), დაგოსტინი (ვერონის „ელასი"), ბალდერი („რომა"), მაურო („იუვენტუსი"), გალი („ელასი"), კარნევალე, რომანო (ორივე — „ნაპოლი").

**მხოლოდ ნახევარი წელი გაძლო**

**საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს უნგრეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელი იმრე კომორა, რომელიც გუნდს მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩაუდგა სათავეში. იგი ევროპის პირველობაზე ჰოლანდიისა და საბერძნეთის ნაკრებთან განცდილმა ორმა მარცხმა აიძულა სასწრაფოდ გამოთხოვებოდა გუნდს.**



უნგრეთის ნაკრების ახალ მწვრთნელად დაინიშნა ბუდაპეშტის მტკ-ის ხელმძღვანელი იოზეფ ვერბეში. ამასთან გამოცხადდა, რომ 1987 წლის 30 ივნისამდე ვერბეში მტკ-შიც იმუშავებს, ნაკრებთან კონტრაქტს კი 1988 წლის ბოლომდე გააგრძელებს.

**პირი შეცვლის სუარესს**

**წარსულში განთქმული ესპანელი ფეხბურთელი ლუის სუარესი, რომელიც დღემდე სათავეში ედგა ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს, გადადგა.** მას შეცვლის ასევე კარგად ცნობილი ფეხბურთელი ხოსე მარტინეს პირი (მადრიდის „რეალისა" და ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე). მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დაანება, პირიმ სამედიცინო განათლება და ექიმის დიპლომი მიიღო.

**58 ბრაზილიელი პორტუგალიაში**

როგორც პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ამ ქვეყნის პირველ და მეორე ლიგებში დღეისათვის თამაშობს 58 (!) ბრაზილიელი.

**ვალდანოს თხოვნა**

გამოჩენილმა არგენტინელმა ფეხბურთელმა ხორხე ვალდანომ, რომელიც მადრიდის „რეალში" თამაშობს, ესპანეთის ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, მისცეს ამ ქვეყნის მოქალაქეობა. ვალდანო თავის თხოვნას საფუძველს იმით უმაგრებს, რომ უკვე 10 წელია ესპანეთში ცხოვრობს (მადრიდში გადასვლამდე სარაგოსის „რეალში" თამაშობდა), ცოლი ესპანელი ჰყავს და ორივე შვილი ესპანეთის მოქალაქეა.

მიმომხილველების აზრით, ვალდანო მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობის დარიგებით მოქმედებს. თუ ეს თავდამსხმელი ესპანეთის მოქალაქეობას მიიღებს, მაშინ „რეალს" საშუალება ექნება კიდევ ერთი უცხოელი მიიწვიოს (ამ კლუბში მექსიკელი უგო სანჩესიც თამაშობს).

**კულემანსი საუკეთესოა**

ბელგიელ სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად ამ ქვეყნის № 1 ფეხბურთელად აღიარებულია „ბრიუგესა" და ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი იან კულემანსი.

**კლემენტე მუნიოსის ნაცვლად?**

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს მიგელ მუნიოსს, რომელსაც 1982 წლიდან მოყოლებული სერიოზული წარმატებები აქვს, სურს პენსიაზე გავიდეს ასაკში შესვლის გამო. ესპანელი ექსპერტების აზრით, მას შეცვლის ხავიერ კლემენტე (ბარსელონის „ესპანიოლის" მწვრთნელი), ვისი ხელმძღვანელობითაც ბილბაოს „ატლეტიკი" ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი.

**შირეას რეკორდი**

ტურინის „იუვენტუსის" კაპიტანმა გაეტანო შირეამ ამ გუნდში ყოფნის მანძილზე 530 მატჩი ჩაატარა. ეს „იუვენტუსის" მოთამაშეებისთვის სარეკორდო მაჩვენებელია.

**ტრიბუნიდან — საავადმყოფოში**

„მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ არგენტინული ფეხბურთი კრიზისს განიცდის", — ასეთია ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის (აფა) ხელმძღვანელების აზრი.

კრიზისს ქვეყნის სტადიონებზე მაყურებელთა ხულიგნობა იწვევს. მაგალითად, პირველი ლიგის გუნდების ამასწინანდელი შეხვედრის შემდეგ საავადმყოფოში 20 მძიმედ დაშავებული ადამიანი მიიყვანეს. მათ შორის აღმოჩნდა პოლიციის კომისარიც.

ამ ბოლო დროს ასეთი „შედეგით" მთავრდება ბევრი მატჩი. აი, რატომ ჩაატარა ბუენოს-აირესში ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ და პოლიციის მთავარმა სამმართველომ ერთობლივი თათბირი, რომელზეც სტადიონებზე მოსული მაყურებლების მიმართ გასატარებელი ზომების გამკაცრება გადაწყვიტეს — იტყობინება პორტუგალიური გაზეთი „დიარიუ დი ნოტისიაში".

კრივი

## სად იყვნენ ქუთაისელი და გორელი მოკრივეები?

**ფოთში** ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა კრივში 1971-72 წლებში დაბადებულთა შორის. ასპარეზობაში 170-მდე სპორტსმენი გამოდიოდა თბილისიდან, ფოთიდან, ტყიბულიდან, ვანიდან, მაიაკოვსკიდან, გურჯაანიდან, ხობიდან, ახალციხიდან, თეთრი წყაროდან, ახალქალაქიდან, სიღნაღიდან, თელავიდან. შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ქუთაისისა და გორის ნაკრებ გუნდებს.

წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: კ. ჰუბაბრიამ 42 კგ (ფოთი), კ. გაბისონიამ 44 კგ (ფოთი), ა. დანელიანმა 46 კგ (ახალციხე), პ. ბებიამ 48 კგ (ფოთი), თ. ჩქიმიკოჩამ 50 კგ (ტყიბული), ზ. კობახიძემ 62 კგ (ტყიბული), ი. მედუვაშვილმა 54 კგ (გურჯაანი), ი. შურღაიამ 57 კგ (ფოთი), ა. კახიანმა 60 კგ (ახალქალაქი), მ. გოგოლაშვილმა 63 კგ (ტყიბული), გ. დვალმა 66 კგ (ტყიბული), ი. ბუშკურაშვილმა 70 კგ (თელავი), ბ. დოლენჯაშვილმა 74 კგ (გურჯაანი), ნ. ვაშაყმაძემ 79 კგ (ვანი).

ნაკრები, რომელიც ამ შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა, ივლისში კრასნოდარში ჭაბუკთა პირველ საკავშირო სოფლის თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.

**„ლელოს" საკ. კორ.**

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მორიგი, მეხუთე ტირაჟებისა, რომელიც 1 თებერვალს შედგა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 931 255 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (42 ბარათი) მოგება 2039 მანეთია, ოთხისთვის (2173) — 38, სამისთვის (37055) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 8.194.265 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (42 ბარათი) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (6.058) — 121, სამისთვის (185.733) — 7.

მოგებული თანხის განაღდება მეხუთე ტირაჟებისა იწარმოებს 16 თებერვლიდან 16 მარტის ჩათვლით.

**რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096.**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06761